პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233
(7294)

5
1982 წ.
დეკემბერი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში

სპორტი, მუსიკა, გრაცია...

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში



ყოველივე ამან მოიყარა თავი თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ, სადაც გუშინ დაიწყო XV ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში „ინტერვიზიის თასზე“.

ინტერვიზიის სისტემაში შემავალი ქვეყნების ჩემპიონებმა და უძლიერესმა იუნიორებმა დაიწყეს ორდღიანი ბრძოლა საპატიო პრიზისათვის.

თბილისი პირველად მასპინძლობს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასეთ დიდ ფორუმს — ყველაზე ნატიფ, ლამაზ, მუსიკალურ სპორტსმენებს, ერთდროულად ხელოვნებისა და სპორტის დესპანებს.

„არტისტიზმი!.. რა ადგილი უჭირავს მას მხატვრულ ტანვარჯიშში? საკმაოდ დიდი: სპორტსმენი ქალი მთლიანად შერწყმულია მუსიკასთან, იმ სახესთან, რომლის შექმნა ჩაფიქრებული აქვს „მხატვარს“. უკანასკნელ წლებში მხატვრული ტანვარჯიში ძალიან გართულდა—სპორტსმენებმა თავიანთი ვარჯიში გაამდიდრეს რთული აკრობატული და ტანვარჯიშული ელემენტებითაც. საბოლოო წარმატებისათვის დღეს მარტო ტექნიკური და ფიზიკური მომზადება არ კმარა, გამარჯვებულს ახლა ავლენს მაღალი სულიერი მონაცემები, შინაგანი ცეცხლი, სპორტული არტისტიზმი!“

ეს სიტყვები ეკუთვნის სსრ კავშირის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ელინა ბისტრიცკაიას.

...მხატვრულ ტანვარჯიშს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია როდი აქვს: პირველი დიდი შეჯიბრება, რომელსაც მაშინ საკავშირო კონკურსი ეწოდებოდა, 1947 წელს გაიმართა ტალინში. სარბიელზე გამოვიდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, ბალტიისპირელი და ქართველი ტანმოვარჯიშეები. საგულისხმოა ის, რომ ბევრი მათგანის ვარჯიში ახლანდელი თვალსაზრისით შორს იყო სპორტისგან. თვითონ განსაჯეთ: დედაქალაქის ღირსებას იცავდა... ცნობილი ბალერინას აისედორა დუნკანის სახელობის სტუდიის მოცეკვავეთა ჯგუფი. ასე იყო მომდევნო კონკურსზეც. მხატვრული ტანვარჯიში „სპორტული“ ჩვენში მხოლოდ 1949 წლიდან გახდა, როდესაც პირველი ჩემპიონის სახელი მოიპოვა ლენინგრადელმა ლ. დენისოვამ. მას მოჰყვა ლ. ნაზმუტდინოვა, შემდეგ კი ლ. სავინკოვა — პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს ლაურეატი. დიდ სარბიელზე თანდათანობით გამოჩნდნენ ახალი ჩემპიონები: ე. კარპუხინა, ლ. პარადიევა, ა. ზასუხინა, მ. გიგოვა, ხ. მიჩეხოვა, ი. რაევა, ქ. ფილიპოვა, ა. რილენკოვა, გ. შუგუროვა, ი. დერიუგინა, ი. გაბაშვილი, დ. კუტკაიტე...



მხატვრული ტანვარჯიში დღეს მეტად პოპულარულია, იგი უკვე ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შეიტანეს, ხოლო ინტერვიზიის სისტემაში შემავალი ქვეყნების აბსოლუტური ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად (1968 წლიდან) ყოველწლიურად თამაშდება პრიზი „ინტერვიზიის თასი“.

...სპორტის სასახლის მოზეიმე სარბიელი მძლავრმა პროჟექტორებმა გაანათა. დარბაზში ქართული ჰანგები გაისმა, ახალგაზრდა წყვილმა მოხდენილად შეასრულა ჩვენი ეროვნული ცეკვა, ამაღლებული ესტრადიდან საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მომღერალთა გუნდის მჟღერი ხმა გაისმა, მას ხალხური საკრავების ანსამბლის, ქალთა ვოკალური ტრიოს და მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა მოჰყვა.

სარბიელზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ მოასპარეზენი. მათ წინ მოუძღვიან ნორჩი ჩოხოსნები აბრებით, რომლებზეც მონაწილე გუნდებია მინიშნებული: ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, საქართველო. ასპარეზობის მონაწილეებს მიესალმა მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გ. ჯავახიშვილი, იგი შეჯიბრებას გახსნილად აცხადებს. ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

პოპულარული მელოდიების თანხლებით ნორჩი ტანმოვარჯიშეები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნელი სალაძის ალსაზრდელები, ასრულებენ მოხდენილ ჯგუფურ ვარჯიშს.

...თეთრ სპორტულ კოსტიუმში თეთრი ბურთით ხელში მაყურებელს მოევლინა მსოფლიოს ექსჩემპიონი ირინე გაბაშვილი, რომლის გამოსვლას დარბაზის მხურვალე ტაში მოჰყვა.

ამაღელვებელი, საინტერესო ზეიმი მოუმზადეს სპორტის მოყვარულებს შეჯიბრების საზეიმო გახსნაზე „ინტერვიზიის თასის“ ორგანიზატორებმა.

...საასპარეზოდ პირველნი იუნიორები გამოვიდნენ. გურზებით ყველაზე კარგად იასპარეზეს ომსკელმა ტატიანა დრუჩინინამ და რუმინელმა ალინ დრეგანმა (ორივეს — 9,55), ხოლო უსაგნოდ ვარჯიშში ასეთივე შედეგით საუკეთესო იყო ჩვენი სპორტსმენი. საბოლოოდ დრუჩინინამ 19,1 ქულა მოაგროვა და დაწინაურდა პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ.

სარბიელზე არიან ჩემპიონები. მათ ამ დღეს სახტუნელათი და რგოლით ვარჯიში წარმოგვიდგინეს. 9,65 — ასეთი შედეგი აჩვენეს პირველ სახეობაში მოსკოველმა სვეტლანა კუდინოვამ და ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა ლილი იგნატოვამ. რგოლით ვარჯიშში საუკეთესო იყო ბულგარელი ოსტატი (9,8), რომელიც ორი სახეობის შემდეგ 19,45 ქულით ლიდერობს ჩემპიონთა ასპარეზობას. კარგად გამოვიდა პირველ სახეობაში ჩვენი ირინე გაბაშვილი (9,4), მაგრამ რგოლით ვერ იასპარეზა რიგიანად და მხოლოდ 8,75 ქულა მიიღო.

დღეს, 15 საათსა და 30 წუთიდან სპორტის სასახლის თაღებქვეშ კვლავ საინტერესო სანახაობა გველის. ნახევარსაათიანი მხატვრული პროგრამის შემდეგ გაგრძელდება ასპარეზობა: ჩემპიონები ივარჯიშებენ გურზებითა და ბაფთით, ხოლო იუნიორები — სახტუნელათი. შემდეგ შეჯიბრება საზეიმოდ დაიხურება, გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან, რასაც კვლავ საინტერესო მხატვრული პროგრამა მოჰყვება.

რაციონალურად არის გამოყენებული მონაწილეთა და ჟურნალისტთა (შეჯიბრების პრეს-ცენტრში აკრედიტებულია 150-მდე კორესპონდენტი) თავისუფალი დრო. ჩვენი ქალაქის სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვივნენ პიონერთა სასახლესა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, იყვნენ ექსკურსიაზე მცხეთასა და საგარეჯოში...

ო. ნოზაძე.

• • •

სურათებზე: (ზემოდან) ასპარეზობს ჩემპიონთა შეჯიბრების ლიდერი, ბულგარელი ლილი იგნატოვა; ირინე გაბაშვილი; სარბიელზე არიან რუმინელი იუნიორი ალინ დრეგანი, ბიანკა დიტრიხი (გდრ) და შარკა ბატკოვა (ჩეხოსლოვაკია).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.







წერილმა გზად გვიხმო

ფარ-ხმალის დაყრა ვაჟკაცებს არ შვენით

რედაქციაში ყოველდღიურად ათობით წერილი მოდის. ერთნი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა წარმატებებს გვამცნობენ, მეორენი გულისტკივილს გვიზიარებენ სპორტული ბაზების უქონლობისა თუ ფიზკულტურული კოლექტივების ულიმღამო საქმიანობის გამო.

ერთმა ასეთმა წერილმა გზად გვიხმო. საყულიელი ახალგაზრდები ფეხბურთში წყალტუბოს საქალაქო გაზეთ „დროშის“ თასის გათამაშების დროს მომხდარ ინციდენტზე გვწერდნენ: ერთ-ერთ მორიგ მატჩში საყულიელი ფეხბურთელები წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდს შეხვდნენ. მეორე ტაიმში, როცა ანგარიში იყო 3:1 ავტოტრანსპორტელთა სასარგებლოდ, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. საყულიელი ფეხბურთელების გ. კამიას, თ. კუხიანიძისა და თ. სვანიძის კამათი შეხვედრის არბიტრთან, წყალტუბოს სპორტსკოლის დირექტორთან ს. ნიქაბაძესთან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ინციდენტში თამაშის საცქერად მოსული მაყურებლებიც ჩაერივნენ და თამაში ჩაიშალა...

მართალია, მსაჯმაც და საყულიელმა ახალგაზრდებმაც ჩვენთან საუბარში აღიარეს თავიანთი დანაშაული, მაგრამ ზემოაღნიშნულ შემთხვევას შეიძლება გამართლება მოეძებნოს? მათი არასპორტული საქციელის მოწმე ხომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი დამსვენებელი გახდა.

წყალტუბოს საქალაქო სპორტკომიტეტის მესვეურებს მეტი პრინციპულობა მართებთ. მათ კი, იმის ნაცვლად, რომ ინციდენტზე მკაცრად ემსჯელათ და დამნაშავეები დაესაჯათ, გაჩუმება არჩიეს.

მომხდარ ფაქტს, სამწუხაროდ, საქალაქო გაზეთ „დროშის“ რედაქციის თანამშრომლებიც გულგრილად მოეკიდნენ. სხვა თუ არაფერი, ეს ინციდენტი ხომ მათი გაზეთის მიერ დაწესებული თასის გათამაშებისას მოხდა?

ერთი სიტყვით, საქალაქო სპორტკომიტეტსა და გაზეთის რედაქციას რომ დროული ოპერატიულობა და პასუხისმგებლობა გამოეჩინათ, საყულიელი ახალგაზრდები ჩვენ არ მოგვმართავდნენ თხოვნით.

საყულიელებმა, რადგან სათქმელი წამოიწყეს, ერთ გულისტკივილს სხვაც მოაყოლეს, თუმცა, ადგილზე შემოწმებამაც გვიჩვენა, რომ ყველაფერი ისე როდია, როგორც ისინი გვწერენ.

საყულიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მეთოდისტად ამ ერთი წლის წინათ დაინიშნა ა. როხვაძე, რომელიც ამავე დროს სოფლის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლადაც მუშაობს. კოლექტივში მისი მოსვლის შემდეგ, როგორც კუხიანიძემ, ზ. სალდაძემ, ო. ჭოლაძემ, ვ. სულაკაძემ და ი. სვანაძემ დაგვიდასტურეს, მეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, სპორტული ბაზების მოწყობასაც მეტი ყურადღება მიექცა. ახალგაზრდების კოლექტიურ კორესპონდენციაში კი ნათქვამია, რომ „სოფელში ბევრი სპორტსმენი და სპორტის გულშემატკივარია, თუმცა არა გვაქვს ფეხბურთის მოედანი. საკუთარი ძალებით კეთილმოვაწყობდით მას, მაგრამ სოფლის თავკაცები არავითარ ყურადღებას არ გვაქცევენ“.

ასეთი მკაცრი საყვედური, როცა საამისო საბაბი არ არსებობს, არ უნდა თქმულიყო. საყულიაში ჩვენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ლომიძესთან და წყალტუბოს საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. კუპაიძესთან ერთად ვინახულეთ საგულდაგულოდ შემოღობილი ფეხბურთის მოედანი, რომლის არსებობაზე, როგორც ჩანს, ბევრ ახალგაზრდას წარმოდგენაც არა ჰქონია. ალბათ ამიტომაც იყო იგი მოუვლელი და კეთილმოუწყობელი. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ იქვე, ფეხბურთის მოედნის მახლობლად, პატარა მდინარეზე, რომელიც სოფელს ჩამოუდის, ის ადგილიც გვიჩვენა, სადაც მაისში საცურაო გუბურას მოწყობას აპირებენ, დავათვალიერეთ საშუალო სკოლის ფეხბურთის (2) და ფრენბურთის მოედნები, სპორტული დარბაზი, რომლებიც ყოველთვის ღიაა სოფლის ახალგაზრდებისთვის. ასე რომ, მეურნეობის ფიზკულტურელებს სპორტული ბაზების მხრივ სამდურავი არ ეთქმით, ხოლო რაც შეეხება მათს მომავალ წარმატებებს, ეს მათსავე მონდომებასა და ენერგიაზეა დამოკიდებული.

საყულიის მერძევეობის მეურნეობა-კომპლექსი ერთ-ერთი მოწინავეა წყალტუბოს რაიონში და ეს იმ ახალგაზრდების დამსახურებაცაა, რომლებმაც გულისტკივილით აღსავსე ბარათი გამოგვიგზავნეს.

„რატომ გვატკინეს გული, — კითხულობენ ისინი, — რატომ დაგვიკარგეს მომავლის რწმენა?“. პესიმისტური განწყობილება მათ პირად საუბარშიც გამომჟღავნეს — ვიქნებით ისევ ჩვენთვის, როგორც დღემდე ვიყავითო...

ბიჭებო, ხელჩაქნეულობა და სპორტი თანამგზავრნი ვერასოდეს იქნებიან!

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გიყვართ და დიდ პატივს სცემთ თანასოფლელ სახელოვან ფალავანს შოთა ლომიძეს. ვფიქრობთ, ისიც დაგვეთანხმება, რომ სპორტსმენის გზა ია-ვარდებით არ არის მოფენილი. ასე რომ, დაბრკოლებებმა, ზოგჯერ მნიშვნელოვანმაც კი, შრომაში გამოწრთობილ ჭაბუკებს ფარ-ხმალი არ უნდა დაგაყრევინოთ. საქმით და მხოლოდ საქმით უნდა დაამტკიცოთ თქვენი სიძლიერე და შემართება!

გვჯერა, რომ ასე იქნება.

ვ. დანელია.
(„ლელოს“ სპეც. კორ).
საყულია,
წყალტუბო.

სპარტაკიადის პროგრამით

სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს სპორტის ეროვნულ სახეობათა მე-11 რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება გამორბენით ჭოკით სიგრძეზე ხტომაში.

საინტერესოა, რომ წინასწარ ასპარეზობაში 15 გუნდი მონაწილეობდა, ხოლო ფინალურ პირველობაში — ზონებში საპრიზო ადგილებზე გასული 5 გუნდის 23 სპორტსმენი გამოვიდა.

გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა „კოლმეურნეს“ თელავის რაისაბჭოს ნაკრებმა. II-III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ სამტრედიისა და წითელწყაროს რაისაბჭოების წარმომადგენლები.

პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა რ. ორბითაშვილმა, მეორე იყო გ. ჩხეიძე (ორივე — თელავი), ხოლო მესამე — რ. ქობულაძე (წყალტუბო).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებას მსაჯობდა სპორტის ამ სახეობის ქომაგი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ვ. ელაშვილი, რომელიც მონაწილეებს მეთოდურ მითითებებს აძლევდა.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს“ კორ.).
სამტრედია.

ლუცერნი: გზა ოქროს მედლებისკენ



ფიდე-ს კონგრესმა ბევრ მოჭადრაკეს ახალი წოდებები მიანიჭა. საერთაშორისო ოსტატის წოდებები მიიღეს ჩვენმა თანამემამულეებმა თამარ ხუგაშვილმა და ზურაბ სტურუამ.

კონგრესის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ფიდე-ს ახალი პრეზიდენტის არჩევნები. 1978 წელს არგენტინაში საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში პრეზიდენტად მაქს ეივეს ნაცვლად არჩეულ იქნა ისლანდიელი დიდოსტატი ფ. ოლაფსონი. ამჯერად პრეზიდენტობის კანდიდატებად წამოაყენეს: ფ. ოლაფსონი, იუგოსლაველი ბ. კაჟიჩი და ფილიპინელი ფ. კამპომანესი. ამ უკანასკნელმა ბრწყინვალე ორგანიზაცია გაუკეთა ფილიპინებზე, ქალაქ ბაგიოში გამართულ მატჩს მსოფლიო პირველობაზე. არჩევნები ორ საფეხურად ჩატარდა. პირველ წილისყრას მხოლოდ ორი კანდიდატი უნდა დაეტოვებინა. ყველაზე ცოტა ხმა კაჟიჩმა მიიღო და იგი ბრძოლას გამოეთიშა. მეორე კენჭისყრამ ფიდე-ს ახალი პრეზიდენტი, 55 წლის ფილიპინელი საჭადრაკო მოღვაწე ფლორენსიო კამპომანესი შესძინა. თუმცა წლის ბოლომდე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება მაინც ფ. ოლაფსონს დაევალა.

ფ. კამპომანესი, როგორც თავად ამბობს, 80 ქვეყანაშია ნამყოფი. 1979 წელს იგი საქართველოში გვეწვია, გაეცნო ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებას და აღფრთოვანებული დარჩა ჭადრაკის სასახლით.

11 ოქტომბერს, მეთერთმეტე ტურში, ესპანელებს შევხვდით. მაია და ნონა ყაიმს დასჯერდნენ, მე გავიმარჯვე, ჩვენმა უახლოესმა კონკურენტმა, რუმინეთის გუნდმა 3:0 დაამარცხა ისლანდიის მოჭადრაკეები. უნგრელები დაუზავდნენ ინგლისელებს.

მეთორმეტე ტურში ჩვენც „მშრალი“ ანგარიშით გავიმარჯვეთ ინდოეთის გუნდთან, რომელშიც დები რახნიკა, ჯაიშრი და ვისენტე კადილკარები თამაშობდნენ. ორ მათგანს კარგად იცნობენ თბილისელები (ისინი საზონათშორისო ტურნირზე იყვნენ ჩამოსული). ამ დღეს რუმინელებმაც გაიმარჯვეს ბულგარეთის გუნდთან — 2,5:0,5.

აშშ-ს გუნდი რჩეული შემადგენლობით ჩამოვიდა ოლიმპიადაზე, მაგრამ ლიდერებში მაინც ვერ მოხვდა. მეცამეტე ტურში ჩვენ მათ მოვუგეთ ანგარიშით 2,5:0,5. მაიამ სძლია სევერეიდს, ნანამ — ჰარინგს, ხოლო ნონა ყაიმს დასჯერდა. ჩვენმა გუნდმა 30,5 ქულა მოაგროვა და თითქმის გაინაღდა პირველობა, რუმინელებს, რომლებმაც საფრანგეთის გუნდი დაამარცხეს, 27,5 ქულა დაუგროვდათ. იმისათვის, რომ დაგვწეოდნენ, ბოლო დღეს ჩვენ ყველა პარტია უნდა წაგვეგო, მათ კი ყველა მოეგოთ. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

მეთოთხმეტე ტურში ჩვენ ვძლიეთ ბრაზილიის ნაკრებს — 2,5:0,5. მე და ნონამ მოვიგეთ, ნანამ შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

ამრიგად, სსრ კავშირის გუნდმა 13 მატჩი მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და 33 ქულით ოლიმპიადის ოქროს მედლები მოიპოვა.

მეორე ადგილზე, როგორც მოსალოდნელი იყო, 30 ქულით რუმინეთის გუნდი გავიდა. მესამე ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ უნგრეთისა და პოლონეთის მოჭადრაკეები. საბოლოოდ ბრინჯაოს მედლები უნგრელებს ხვდათ. მათ 26 ქულა მოაგროვეს.

დაწესებული იყო აგრეთვე მცირე ოქროს მედლები ცალკეულ დაფებზე საუკეთესო შედეგებისთვის. ჩვენი გუნდიდან ეს მედალი მხოლოდ ნანა ალექსანდრიამ მიიღო. მან 9 შეხვედრაში 7,5 ქულა მოაგროვა და მეორე დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა. პირველ დაფაზე გამარჯვებული აღმოჩნდა იტალიელი პერნიჩი. მაიამ 12 პარტიაში 9 ქულა მოაგროვა. ბრწყინვალე შედეგი აჩვენა ნონამ — 11,5 ქულა 13-დან, მაგრამ მას მხოლოდ მეორე ადგილი ხვდა მესამე დაფაზე. პირველი იყო დ. ნუცუ-ტერეშჩენკო— 11 ქულა 12-დან, რადგან მას პროცენტულად უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. სათადარიგოთა შორის პირველი იყო რუმინელი ე. პოლიქრონიადე — 6,5 ქულა 9-დან. მე 8 შესაძლებლიდან 5 ქულა მოვაგროვე.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა 1957 წლიდან ტარდება. ნონა ოლიმპიადაში 1963 წლიდან მონაწილეობს. იგი უკვე 8 ოქროს მედლის მფლობელია. ხუთი მედალი აქვს ნანა ალექსანდრიას, მაიას — სამი, მე —ორი.

ვაჟთა ოლიმპიადაზე სსრ კავშირის გუნდის გამოსვლა ამომწურავად შუქდებოდა ჩვენს პრესაში, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევეხები მას.

ოლიმპიადაში 94 გუნდი მონაწილეობდა, 14 გუნდით მეტი, ვიდრე მალტის ოლიმპიადაზე. ჩვენი მოჭადრაკეები ისეთი დაბეჯითებით იბრძოდნენ, რომ ვადამდე გაინაღდეს ოქროს მედლები. მათ 6,5 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს (36 ქულა).

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების წევრებმა 13 მატჩი მოიგეს და ერთი ყაიმით დაასრულეს. აი, როგორ ითამაშა თითოეულმა დიდოსტატმა: ა. კარპოვი — 6,5 (8-დან), გ. კასპაროვი — 9 (12-დან), ლ. პოლუგაევსკი — 6 (9-დან), ა. ბელიავსკი — 6,5 (9-დან), მ. ტალი —7 (8-დან), ა. იუსუპოვი — 7,5 (10-დან).

ძნელია გამოყო რომელიმე მოჭადრაკე, ყველანი წარმატებით და დიდი მონდომებით იბრძოდნენ. მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო ა. კარპოვისა და გ. კასპაროვის თამაში.

მსოფლიო ჩემპიონმა ჩვეულ პოზიციურ სტილში მოიგო რამდენიმე პარტია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მისმა თამაშმა დიდოსტატ ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია) პარტიაში.

კარპოვი — ჰორტი
ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7 12. მbd2 c×d4 13. c×d4 მc6 14. მb3 a5 15. კe3 a4 16. მbd2 მb4 17. კb1 კd7 18. a3 მc6 19. ლe2 ლb7 20. კd3 ეfe8 21. ეac1 ეab8 22. d×e5 d×e5 23. მb1 კd8 24. ეc5 b4 25. ეb5 ლa8 26. ეc1 კa5 27. კg5 ეec8 28. მbd2 b×a3 29. b×a3 e×b5 30. კ×b5 მd4 31. ე×c8+ ლ×c8 32. მ×d4 e×d4 33. მf3 კc3 34. კ×f6 g×f6 35. e5 f5 36. კd3 ლc5 37. მg5 h6 38. e6 f×e6 39. მ×e6 ლd6 40. კ×f5 d3 41. ლg4+ მფf7 42. ლg6+. შავები დანებდნენ.

გ. კასპაროვი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოჭადრაკეა. უცხოელი ჟურნალისტები მას რობერტ ფიშერს ადარებენ და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს უწინასწარმეტყველებენ. ძნელია იმის თქმა გახდება თუ არა 19 წლის კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონი, თუმცა ნათელია, რომ იგი ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. ოლიმპიადაზე გარიმ ყველაზე მეტი პარტია ითამაშა, არ დამარცხებულა. დიდი რეზონანსი ჰქონდა მის გამარჯვებას კორჩნოისთან. ეს იყო ძალზე მღელვარე, ურთულესი შემოქმედებითი პაექრობა, რომელშიც გარიმ გამოცდილ დიდოსტატს აჯობა. სწორედ ამიტომ მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს იგი, როცა მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

აი, ეს პარტია:

კორჩნოი — კასპაროვი
ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. g3 კg7 4. კg2 c5 5. d5 d6 6. მc3 0—0 7. მf3 e6 8. 0—0 e×d5 9. c×d5 a6 10. a4 ეe8 11. მd2 მbd7 12. h3 ეb8 13. მc4 მe5 14. მa3 მh5 15. e4 ეf8 16. მფh2 f5 17. f4 b5 18. a×b5 a×b5 19. მa×b5 f×e4 20. კ×e4 კd7 21. ლe2 ლb6 22. მa3 ეbe8 23. კd2 ლ×b2 24. f×e5 კ×e5 25. მc4 მ×g3 26. ე×f8+ ე×f8 27. ლe1 მ×e4+ 28. მფg2 ლc2 29. მ×e5 ე×f2+ 30. ლ×f2 მ×f2 31. ეa2 ლf5 32. მ×d7 მd3 33. კh6 ლ×d7 34. ეa8+ მფf7 35. ეh8 მფf6 36. მფf3 ლ×h3+. თეთრები დანებდნენ.

ოლიმპიადა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ მისი სპორტული და შემოქმედებითი შედეგები კიდევ კარგა ხანს იქნება სპეციალისტების, მოჭადრაკეებისა და ჟურნალისტების მსჯელობის საგანი.

დასასრულს არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენი გამარჯვება ლუცერნში არის საუცხოო მომზადების, დიდი ყურადღებისა და ხელის შეწყობის შედეგი. ამიტომ მადლობა ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა, გაგვამხნევა თავისი ყურადღებით და ზრუნვით.

ნანა იოსელიანი,
საერთაშორისო დიდოსტატი,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

• • •

სურათზე: ლუცერნის კონგრესის სასახლის დარბაზი, სადაც ჩატარდა საჭადრაკო ოლიმპიადა.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 229, 232.

მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს

ქ. კალუშაში (უკრაინა) ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ნორჩ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქების 12 გუნდი.

კარგად ითამაშეს თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სპორტსკოლის (დირექტორი შ. მერკვილაძე) წარგზავნილებმა. გუნდი დაკომპლექტებული იყო 1968 წელს დაბადებული ბავშვებით, მას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები თ. კუბლაშვილი და ო. კინწურაშვილი, აგრეთვე, სპორტის ოსტატი ა. ილიადი. საქართველოს გუნდმა თავის ქვეჯგუფში 5 მატჩში დააგროვა 9 ქულა და გავიდა გათამაშების ფინალში, სადაც მისი მეტოქე იყო მოსკოვის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდი „სმენა“. დაძაბული, საინტერესო ბრძოლის შემდეგ თბილისელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 1:0 და დაეუფლნენ სამახსოვრო თასს. მათვე გადაეცათ პირველი ხარისხის დიპლომები.

ა. ილურიძე.

• • •

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული ნორჩ თბილისელ ფეხბურთელთა გუნდი. მეორე რიგში მარცხნივ — მწვრთნელი თ. კუბლაშვილი, მარჯვნივ — მწვრთნელი ა. ილიადი.

შ. ნოშრევანიძის ფოტო.

გაიმარჯვეს მოსკოველებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭში დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება „გადასასვლელის“ პრიზზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და სომხეთის გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა, რომლებსაც გადაეცათ საპატიო პრიზი.

III ადგილისთვის იბრძოდნენ ბელორუსიისა და რსფსრ-ს ფეხბურთელები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანების სერია უკეთ გამოიყენეს ბელორუსიელებმა.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

XV ტურში მოხდა კურიოზული ამბავი: „მანჩესტერ სიტისა“ და „ბირმინგემ სიტის“ მატჩში მინდორზე შემოიჭრა ძაღლი, რომელიც ვერასგზით ვერ დაიჭირეს. მსაჯმა 10 წუთით შეაჩერა თამაში, გუნდები მინდვრიდან გაიყვანა, შემდეგ კი ძაღლიც დაიჭირეს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ლივერპული“ პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა სტუმრად „ნოთს ქაუნთისთან“ (0:1), მაგრამ შემდეგ დალგლიშმა 2 ბურთი გაიტანა და ლიდერმა 2 ქულა აიღო.

სხვა შეხვედრები: „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 2:1, „კოვენტრი სიტი“ — „ლუტონ თაუნი“ 4:2, „ევერტონი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 0:0, „ნორვიჩ სიტი“ — „სტოკ სიტი“ 4:2, „საუთჰემპტონი“ — „იფსვიჩ თაუნი“ 0:1, „სანდერლენდი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 0:1, „სუონსი სიტი“ — „არსენალი“ 1:2, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:1, „უოტფორდი“ — „ბრაიტონ ალბიონი“ 4:1.

15 ტურის შემდეგ „ლივერპულს“ 31 ქულა აქვს (შეგახსენებთ, მოგებისთვის ინგლისში იწერება 3 ქულა), მეორე ადგილზეა დებიუტანტი „უოტფორდი“ —27 ქულა. „ნოტინგემ ფორესტს“ 26 ქულა აქვს, „ვესტ ჰემ იუნაიტედს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ასტონ ვილას“ — 25-25 ქულა.

ჰოლანდია

14 ტურის შემდეგ ლიდერობენ ძველი მეტოქეები — ამსტერდამის „აიაქსი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“. მათ 23-23 ქულა აქვთ. ქულით ნაკლები მოაგროვა „პსვ. ეინდჰოვენმა“.

ავსტრია

ვენის „აუსტრიამ“ XIV ტურში თავის მინდორზე მოულოდნელად წააგო ზალცბურგის „აუსტრიასთან“ — 0:1, ხოლო ვენის „რაპიდმა“ სტუმრად დაამარცხა ველსის „უნიონი“ — 3:0.

23 ქულით ლიდერობს „რაპიდი“. ვენის „აუსტრია“ მას ჩამორჩება 3 ქულით.

თურქეთი

10 ტურის შემდეგ 17 ქულით წინაა სტამბოლის „ფენერბახჩე“. სტამბოლის „გალათასარაის“ 16 ქულა აქვს, „ტრაბზონსპორს“ — 14, სტამბოლის „ბეშიქთაშს“ — 12.

დანია

30 თამაშიდან 41 ქულით ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ოდენზე ბკ“-მ, მას მხოლოდ ქულით ჩამორჩა „აარჰუს გფ“.

პირველ ლიგას ტოვებენ „ნიკოობინგი“, „კბ კოპენჰაგენი“ და „ბ-1909 ოდენზე“. მათ შეცვლიან კოპენჰაგენის „ფრამი“, ამავე ქალაქის „ბრიონსბოი“ და „ჰერმინგი“ (იუტლანდი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მშვიდობით, გრინვუდ!

ყველაფერი მადრიდში, სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზევე გადაწყდა. როცა ესპანეთ-ინგლისის მატჩის მსაჯმა საფინალო სასტვენს ჩაჰბერა, ინგლისელთა მწვრთნელმა რონ გრინვუდმა სევდიანად მოავლო მზერა მინდორს და ნელი ნაბიჯით გასახდელისაკენ გაემართა. ცდილობდა მღელვარება დაეფარა, თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ უწყინარ სახეზე გატანჯული იერი დაჰკრავდა და თითქოს ნაოჭებიც ჩაღრმავებოდა.

მაშინ მართლაც დაიჯერებდით, რომ ძია რონი უკვე 62 წლისაა... რა ულმობელია ცხოვრება! სულ ორიოდე დღის წინ ყველაფერს მშვენიერი პირი უჩანდა — მისმა გუნდმა ხომ პირველი ეტაპი ქულათა მაქსიმუმით მოიგო და მადრიდისკენაც იმედებით აღსავსე გაემგზავრა. ახლა კი... ნუთუ მხოლოდ იმისთვის უნდა გამოეთიშოს გათამაშებას, რომ ვერ დაამარცხა ევროპის ჩემპიონი და ორი ბურთის სხვაობით ვერ მოუგო ჩემპიონატის მასპინძელს, რომელიც თავისიანების თვალში რეაბილიტაციის მიზნით გააფთრებული იბრძოდა?

გასახდელში შემოსულ ჟურნალისტებს გრინვუდმა ესღა უთხრა: „არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა. რა გაეწყობა, ალბათ ღვთის ნება იყო“. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი მან, დამარცხებულ მწვრთნელთა შორის პირველმა, გამოაცხადა, რომ პოსტიდან გადადგა...

რონ გრინვუდმა ნაკრები 1977 წელს, ინგლისური ფეხბურთის ძნელბედობის პერიოდში ჩაიბარა — გუნდი ხომ წლების მანძილზე ჩამოცილებული იყო დიდ საფეხბურთო ცხოვრებას: 1974 წლის მსოფლიო პირველობამ მის გარეშე ჩაიარა, ინგლისელებს 1978 წლის პირველობის შესარჩევ ტურნირშიც მოეცარათ ხელი და კვლავ განზე დარჩნენ, აი, სწორედ მაშინ მოევლინა ნაკრებს რონ გრინვუდი — მუდამ საქმიანი, კეთილი ძია რონი. გამოცდილ მწვრთნელს სასწაულების იმედი როდი ჰქონდა, მას კარგად ესმოდა, რომ მძიმედ დაავადებულ „ინგლისელ ლომებს“ ხანგრძლივი და მიზანდასახული მკურნალობა სჭირდებოდათ. გრინვუდის წინაშე გლობალური ხასიათის პრობლემა იდგა — საჭირო იყო გუნდისთვის ახალი სულის შთაბერვა, ახალი ფსიქოლოგიის, ახალი აზროვნების შექმნა. ყველაფერი ეს ინგლისური ფეხბურთის ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა მომხდარიყო და ამ მყარ საფუძველზე უნდა დაშენებულიყო ახალი მძლავრი შენობა. ხუთი წლის მანძილზე ძია რონი აგურს აგურზე ადებდა, რუდუნებით ამოჰყავდა შენობის კედლები. მერე რა, რომ ამ გრანდიოზული მშენებლობის პერიოდში არც გამარჯვებები ჩანდა და არც მედლები, რა ვუყოთ, რომ ამასობაში გუნდმა ევროპის პირველობაც წააგო. მთავარი იყო ის, რომ ლომები თანდათან ძალებს იკრებდნენ და კლანჭებს იმაგრებდნენ. და აი, ესპანეთში ძალთა გენერალურ შემოწმებაზე, გრინვუდის გუნდმა თავიდანვე მიიპყრო საქმის მცოდნე სპეციალისტთა ყურადღება. ეს იყო მონოლითურად შეკრული, დიდი პოტენციის მქონე გუნდი, რომელიც, ბევრთა გასაკვირად, სულაც არ აპირებდა შორიდან ეცქირა, თუ როგორ გაიყოფდნენ მსოფლიოს „ძლიერნი ამა ქვეყნისა“. და რა დასანანია, რომ გათამაშების მეტად რთულმა სისტემამ მიახლოებითაც კი ვერ განსაზღვრა ამ გუნდის ადგილი თანამედროვე ფეხბურთში. თუმცა, ცხადია, ყველაფერს გათამაშების სისტემასა და უიღბლობას ვერ დააბრალებ. მაინც რამ უმტყუნა გრინვუდს? შესაძლოა, მის წინაშე დასმული პრობლემის გლობალურობამ მისი თვალთახედვაც ზედმეტად გლობალური გახადა და გადამწყვეტ მომენტში გუნდს დააკლდა პრაქტიციზმის ის დოზა, რომელიც კონკრეტული სიტუაციის შესაფასებლადაა საჭირო, სწორედ იმ პრაქტიციზმისა, რომელმაც საბოლოო გამარჯვება იტალიელებს არგუნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შორეულ პერსპექტივებზე სწორებამ გრინვუდის საფეხბურთო კონცეფციები ერთობ ზოგადი გახადა და კონკრეტულ სირთულეებს შეჯახებულ მწვრთნელს არ აღმოაჩნდა ის რეცეპტი, რომელიც გუნდს რეალურ სარგებლობას მოუტანდა. ალბათ, ამითვე აიხსნება ის ეჭვებიც, რომლებმაც ესპანეთის მატჩის წინა ღამეს თვალი არ მოახუჭვინეს ხანდაზმულ მწვრთნელს: კიგანით თუ უკიგანოდ? ბრუკინგით თუ უბრუკინგოდ? კოპელის ნახევარდაცვაში გამოყვანა სჯობს თუ ვუდკოკით თავდასხმის გაძლიერება? საოცარია, მაგრამ ზოგჯერ ბრძოლის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე ომისა... ყველაზე გადამწყვეტ მომენტში გრინვუდი დაიბნა და როგორც ყველა ეჭვით შეპყრობილი ადამიანი, ვერც პირველ გზას დაადგა და ვერც მეორეს. დღესაც ძნელი სათქმელია ის გადამწყვეტი მატჩი ინგლისელებმა კიგანით ჩაატარეს თუ უკიგანოდ, ბრუკინგით თუ უბრუკინგოდ... რონ გრინვუდმა ეს მნიშვნელოვანი ბრძოლა წააგო, მაგრამ არასდროს დაუკარგავს იმედი ომის მოგებისა, ომისა, რომელიც 1977 წელს დაიწყო. ამას ადასტურებს მადრიდის მატჩის წინ მის მიერ გაკეთებული ინტერვიუც: „ფეხბურთში ასჯერ კვდებიან და ასჯერვე ცოცხლდებიან. როცა თავის დროზე იტალიელებმა არგენტინის საგზური ხელიდან გამოგვგლიჯეს, ბევრმა ეს ინგლისური ფეხბურთის აღსასრულად მიიჩნია, ჩვენ კი ვიმუშავეთ, ბევრი რამ შევცვალეთ და აი, ახლა ისევ გზაჯვარედინზე ვდგავართ. ესპანელებმა სევილიისაკენ მიმავალი გზაც რომ გადაგვილობონ, ჩვენი ცხოვრება მაინც თავისი კალაპოტით წავა, ხვალ ჩემს ადგილზე სხვა მოვა და ინგლისი, ადრე თუ გვიან, მაინც განახორციელებს თავის ოცნებებს. გასაგებია?“

არა, ყველაფერი როდი იყო გასაგები დღევანდელ კვერცხს დახარბებულ კრიტიკოსთათვის. როცა ინგლის-ესპანეთის ბრძოლა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, ინგლისის პრესამ და ფეხბურთის მესვეურებმა რისხვის, ღვარძლისა და ირონიის ქარცეცხლი დაატეხეს გრინვუდს: „მისტერ გრინვუდის აზრით ეს იყო ერთ-ერთი ულამაზესი და უიღბლო მატჩთაგანი მისი გუნდის მიერ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ნათამაშევ მატჩთა შორის“, „გრინვუდმა განაცხადა, მატჩი ჩვენ უნდა მოგვეგო“, „ინგლისელთა მწვრთნელს თუ დავუჯერებთ...“, „ბატონი გრინვუდი კი ამტკიცებს, რომ...“ და ასე დაუსრულებლად. საერთო აზრი კი ასეთი იყო: იმის მაგივრად, რომ გაჩუმდეს, კიდევ თავს იმართლებსო.

გრინვუდი მაინცდამაინც არ გაუკვირვებია ამგვარ რეაქციას, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ახალი ხილი არ იყო მისთვის. აკი თავადაც უთქვამს: „მწვრთნელის პროფესია ყოვლად აუტანელი გახდა. თუნდაც, ჩემი მეგობარი ენცო ბეარზოტი ავიღოთ: მსოფლიოში მასზე დევნილი მწვრთნელი არ მეგულებოდა, ახლა კი ყველა ბოდიშს უხდის. მე მის ადგილზე ამდენს ვერ ავიტანდი და ალბათ ესპანეთშიც აღარ წავიდოდი. როგორც ჩანს, ბეარზოტს მწვრთნელისათვის საჭირო ყველა თვისება აქვს, მათ შორის, მოთმინების უნარიც“. რონ გრინვუდი კი ბევრად უფრო რბილი და დამყოლი ადამიანია, მაგრამ ბრიტანული სიამაყე არასოდეს ღალატობს. ალბათ, დამარცხების შემდეგ ამიტომაც არჩია დაუყოვნებლად გადამდგარიყო. „ჩემი კარიერა დამთავრებულია — განაცხადა მან მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე — ალბათ, ამაზე მეტი არც ძალმიძდა. რა გაეწყობა, მე მივდივარ და გზას ახალგაზრდებს ვუთმობ. იქნებ დამნაშავეც ვარ, მაგრამ თანაგრძნობას ვიმსახურებ, რადგან პატიოსნებისათვის არასოდეს მიღალატნია. ახლა მსაყვედურობენ რატომ კოპელი არ ათამაშეო, ანდა რატომ დააგვიანე ბრუკინგისა და კიგანის აჩრდილის მინდორზე გამოყვანაო. წაგების შემდეგ გაკრიტიკება იოლია, თამაშის დროს კი, როცა ემოციები ლამისაა ყელში გწვდეს და დაგახრჩოს, ძალზე ძნელია ნათელი გონება და მტკიცე ხელი შეინარჩუნო. მე ამის მეტი ვერ შევძელი, თუმცა ჩემი გუნდი თავს მერჩივნა“. უიღბლო და ხელმოცარული გრინვუდი თანაგრძნობას საკუთარი ფეხბურთელებისაგან ელოდა, მათგან, ვისაც წლების მანძილზე შვილებივით დასტრიალებდა თავს. მაგრამ მათაც ზურგი აქციეს თავიანთ მწვრთნელს. გადამწყვეტი მატჩის შემდეგ ყველანი ლუდის სასმელად წავიდნენ ბარში და ერთხმად გაიძახოდნენ, ყველაფერი გრინვუდის ბრალიაო. მთელი პასუხისმგებლობა მთავარ მწვრთნელს უნდა დაეკისროს. გერმანელებთან მატჩში ფრთხილმა ტაქტიკამ შიში ჩაგვინერგა და არასრულფასოვნების კომპლექსი გაგვიჩინა“ — განაცხადეს მათ. ყველას მაინც კევინ კიგანმა აჯობა. მან ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩემს უკანასკნელ მსოფლიო პირველობაში სულ 25 წუთი ვითამაშე. კარგი ნუგეშია 32 წლის კაცისთვის, არა? მე დიდი ხანია სათამაშოდ მზად გახლდით, მაგრამ მწვრთნელმა არ ინება ჩემი მინდორზე გამოშვება და მხოლოდ მაშინ გაიღო მოწყალება, როცა გუნდმა ესპანელებთან ნულოვან ფრეზე მიარტყა ფეხი. მადლობა მომიხსენებია მისტერ გრინვუდისათვის, მაგრამ შეეძლო არ შეეწუხებულიყო, სულაც არ მჭირდებოდა ინგლისის საფეხბურთო მატიანეში სამარცხვინო ფურცლის ჩაწერა“. აი, ასე უპასუხა გუნდმა მწვრთნელის სიყვარულს. ძია რონი დარჩა ყველასაგან მიტოვებული, როგორც მეფე ლირი. „წავალ და ვიცხოვრებ ჩემთვის, გავხდები მისი უდიდებულესობა დედოფლის რიგითი ქვეშევრდომი, მივხედავ ჩემს ჯანმრთელობას და თავს გავაძლებინებ. ფეხბურთს კი დავივიწყებ. მე მას თავი ვანაცვალე, მან კი სიცოცხლე მომიშხამა“.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას არ გასჭირვებია გრინვუდის მემკვიდრის გამოძებნა. ესაა 49 წლის ბილ რობსონი, რომელიც ორმოცდაათიან წლებში თვითონ თამაშობდა ინგლისის ნაკრებში, 1968 წლიდან კი „იფსვიჩ თაუნს“ ავარჯიშებს. რობსონი დიდი ოპტიმისტი და დიპლომატიური ბუნების კაცია, ჟურნალისტთა და ქალთა საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ემოციებს იოლად უმკლავდება და არც ეჭვები აწუხებს. მწვრთნელის ოპტიმიზმი გუნდსაც გადაედო — კიგანმა, მარინერმა და ფრენსისმა ერთხმად განაცხადეს: რობსონის ხელმძღვანელობით ისევე ძლიერი ვიქნებით, როგორც 1966 წელს ვიყავით და ამას ევროპის უახლოეს პირველობაზევე დავამტკიცებთო. ვინ იცის, იქნებ მართლებიც არიან. ალბათ ინგლისურ ფეხბურთს მართლაც რობსონისთანა ძლიერი და თავდაჯერებული პიროვნება სჭირდება. ძია რონის დრო კი წავიდა — მას თვალები სევდით ევსებოდა, გონება კი ეჭვებით. როგორც ჩანს, ინგლისს ჰამლეტები აღარ სჭირდება.

იტალიურიდან თარგმნა
ბ. ცქიტიშვილმა.

„ბრავოს“ პრიზი — მარადონას

იტალიურმა ჟურნალმა „გუერინ სპორტივომ“ მოაწყო ტრადიციული კონკურსი მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის (23 წლამდე) გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობდნენ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ცნობილი საფეხბურთო მიმომხილველები.

როგორც მოსალოდნელი იყო, № 1 ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარებულია არგენტინის ნაკრებისა და ესპანეთის „ბარსელონას“ მოთამაშე მარადონა (93 ქულა), მეორეა ასევე არგენტინელი დიასი (90), რომელიც ახლა იტალიის „ნაპოლიში“ გამოდის, მესამე (83 ქულით) — დასავლეთგერმანელი შუსტერი („ბარსელონა“).

რუმენიგემ აჯობა ბრაიტნერს

გფრ-ის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ფერადი ფოტოალბომი, რომელიც ნაკრების კაპიტანმა რუმენიგემ გადაიღო, გაცილებით უკეთ საღდება, ვიდრე ამავე შეჯიბრებისადმი მიძღვნილი ბრაიტნერის მოგონებები. რუმენიგეს ალბომი 100 ათასი ეგზემპლარი გასაღდა, ბრაიტნერის მოგონებები კი 80 ათასი.



საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში „ინტერვიზიის თასზე“ აკრედიტებული საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გაიმართა პრეს-კონფერენცია.

* * *

სურათზე: პრეს-კონფერენციის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

კომენტატორი

— ასე ეწოდება მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმს, რომელიც საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა **გიორგი თორაძემ** გადაიღო. იგი ამ საინტერესო ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი და ოპერატორია. ეს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტის მეორე ფილმი გახლავთ — ოთხიოდე წლის წინათ მან მაყურებელს შესთავაზა თავისი სადიპლომო ნამუშევარი „ფოტორეპორტიორი“ — კინოჩანახატი სპორტულ ფოტოკორესპონდენტ ალექსანდრე კოტორაშვილზე.

ავტორის ახალი ფილმი ეძღვნება ცნობილ მსახიობსა და კომენტატორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს კოტე მახარაძეს, უფრო ზუსტად კი მახარაძე — სპორტულ კომენტატორს. აგერ უკვე ათეული წლებია გვხიბლავს იგი თავისი საინტერესო, მაღალპროფესიული რეპორტაჟებით ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან თუ უცხოეთიდან.

ამ ახალგაზრდა კინოდოკუმენტალისტის მიერ გადაღებული საინტერესო კადრები მოგვითხრობენ პოპულარული ტელერადიოკომენტატორის საყვარელ საქმიანობაზე — მის ყოველდღიურობაზე, მიკროფონით თუ მის გარეშე (თეატრში, სტუდიაში, ტრადიციულ საახალწლო შეხვედრაზე და ა. შ.).

ცენტრალურმა ტელევიზიამ დადებითად შეაფასა „კომენტატორი“ და რეკომენდაცია მისცა მის ჩვენებას ფართო აუდიტორიის წინაშე.

ამჟამად გიორგი თორაძე მუშაობს ახალ ფილმზე „ფეხბურთი“, რომელიც ამ პოპულარული თამაშის გულშემატკივრებისა და ფეხბურთელთა დამოკიდებულებას ეხება.

ო. გოლაძე.

სურათებზე: კადრები ფილმიდან „კომენტატორი“ — კოტე მახარაძე თავის სტიქიაშია.

● წყალში ხტომა

გია ჩოგოვაძე ბრინჯაოს პრიზიორია

სარატოვში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში. პროგრამაში იყო ქალთა და ვაჟთა ასპარეზობა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5 და 7,5-მეტრიანი კოშკიდან წყალში ხტომა.

კოშკიდან წყალში ხტომაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ე. ნიკოფოროვამ („დინამო“, სარატოვი), ვაჟთა შორის კი საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. ორლოვი („სპარტაკი“, ვოლგოგრადი) — 492,21, 2. ნ. დრონინი (შეიარაღებული ძალები), — 486,45, 3. გ. ჩოგოვაძე („ტრუდი“, თბილისი) — 480,90.

● ხელბურთი

ფინალში იასპარეზებენ

ხელბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ქალაქ დებრეცენში მიმდინარეობს, შესარჩევ ჯგუფში მეორე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი — 23:21 (10:10) და ფინალში გაინაღდეს ადგილი. მათთან ერთად ფინალში იასპარეზებენ გდრ-ის, უნგრეთის, იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომელთა ანგარიშზეა აგრეთვე ორ-ორი გამარჯვება.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 49-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 6 (ძიუდო), 16 (ცხენოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 20 (აფროსნობა), 24 (ხელბურთი), 46 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

● ჭადრაკი

საზეიმოდ გაიხსნა

ტალინი, 4 დეკემბერი, (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ესტონეთის დედაქალაქის რატუშაში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ქალთა 42-ე ჩემპიონატი.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა, დიდოსტატმა კ. ზვორიკინამ (მინსკი) მონაწილენი წილისყრაზე მიიწვია. სატურნირო ცხრილი ასე შეივსო: 1. ოსტატი ზ. ლელჩუკი (ლვოვი), 2. ოსტატი ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), 3. ოსტატი ე. ეპშტეინი (კლაიპედა), 4. ოსტატი ლ. ზაიცევა (მოსკოვი), 5. დიდოსტატი მ. ლიტინსკაია (ლვოვი), 6. ოსტატი ტ. ჩეხოვა (მოსკოვი), 7. ოსტატი ლ. პიარნპუუ (პიარნუ), 8. ოსტატი მ. წერეთელი (მახარაძე), 9. დიდოსტატი ე. ფათალიბეკოვა (მოსკოვი), 10. ოსტატი ლ. კულიკოვა (ერევანი), 11. ოსტატი თ. მინოგინა (მოსკოვი), 12. ოსტატი ა. ახშარუმოვა (მოსკოვი), 13. ოსტატობის კანდიდატი ქ. არახამია (თბილისი), 14. ოსტატი ი. ჩელუშკინა (ლვოვი), 15. დიდოსტატი ნ. გურიელი (თბილისი), 16. დიდოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 17. დიდოსტატი ნ. იოსელიანი (თბილისი), 18. ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი).

I ტურში იოსელიანმა დაამარცხა ტიტორენკო, გურიელმა — ზაიცევა, ჩელუშკინამ — ლიტინსკაია, ეპშტეინმა — კოზლოვსკაია, მინოგინამ — წერეთელი. ყაიმზე შეთანხმდნენ ლელჩუკი — ხუგაშვილი და ფათალიბეკოვა — კულიკოვა.

ჩეხოვა — არახამიას პარტია არ შედგა მოსკოველი მოჭადრაკის ავადმყოფობის გამო.

გ. მაჭავარიანი.

დღე მეორე

თელავი, 4 დეკემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატზე (პირველი ლიგა) გუშინ II ტურის შეხვედრები გაიმართა.

ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა ლენინგრადელმა ლ. იუდასინმა, რომელმაც ამჯერად თანაქალაქელ ა. ლუკინს მოუგო. ს. ლპუტიანი (ერევანი) დამარცხდა ს. გორელოვთან (მოსკოვი), დაზავდნენ ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — ა. პეტროსიანი (ერევანი).

6 პარტია გადაიდო. მათ შორის ბ. გურგენიძე-გ. აგზამოვის (ტაშკენტი), ე. უბილავა-ი. ანიკაევის (მოსკოვის ოლქი) და გ. ზაიჩიკ-ვ. ბაგიროვის (რიგა) შეხვედრები.

ლიდერობენ ლ. იუდასინი — 2 ქულა, ა. პეტროსიანი და რ. გორელოვი — 1,5-1,5.

ორი გამარჯვებული

მანილაში (ფილიპინები) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა დიდოსტატებიც მონაწილეობდნენ.

I-II ადგილები გაიყვეს ლ. პოლუგაევსკიმ (სსრ კავშირი) და ა. ლომბრონმა (გფრ) — 7-7 ქულა 9-დან. III ადგილზეა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი ე. ტორე (ფილიპინები). ე. სვეშნიკოვმა 5,5 ქულა მოაგროვა, ს. დოლმატოვმა (ორივე — სსრ კავშირი) — 5.

15 წლის შემდეგ

კიროვაბადში დიდი ინტერესი გამოიწვია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატმა, რომელიც მთელი თვის მანძილზე გაგრძელდა. ეს ტრადიციული ტურნირი უკანასკნელად 1967 წელს ჩატარდა ბაქოში.

ამჯერად ჩემპიონატში სამივე მოძმე რესპუბლიკის 16 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ი. ეფიმოვმა (თბილისი) და ა. ჰუსეინოვმა (ბაქო) — 11-11 ქულა 15-დან. III ადგილზეა ოსტატი კ. ხალიკიანი (ერევანი) — 10, IV-V ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა ზ. სტურუამ (თბილისი) და ოსტატმა ფ. სიდეიფ-ზადემ (ბაქო) — 8,5-8,5, VI-VIII — საერთაშორისო ოსტატმა ე. მნაცაკანიანმა (ერევანი), ოსტატმა ო. პავლენკომ (ბაქო) და ოსტატობის კანდიდატმა დ. ჩაჩიბაიამ (თბილისი) — 8-8.

ოსტატმა რ. იაკობაშვილმა (თბილისი) 6,5 ქულა მოაგროვა, ოსტატმა ჯ. ბერაძემ (წყალტუბო) — 4,5.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ეფიმოვი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის (ჭადრაკის სპეციალიზაცია) კურსდამთავრებულია, ხოლო დ. ჩაჩიბაია — ამავე ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი. შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე ეფიმოვმა სპეციალური პრიზი მიიღო საუკეთესო ფინიშისთვის, ხოლო ჩაჩიბაიამ — პირველ 5 პრიზიორთან მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის.

მ. ისაევი.

ქ. კიროვაბადი.

საინტერესო შეხვედრა

სასიხარულო იყო თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა შეხვედრა გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გაიოზ ჯეჯელავასთან და საქართველოს სახალხო არტისტთან, ფეხბურთის ცნობილ კომენტატორ კოტე მახარაძესთან.

134-ე საშუალო სკოლის სპორტსმენები სპეციალიზაციას ფეხბურთში გადიან, ამიტომ შეხვედრას ამ ადამიანებთან მათთვის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა. ბავშვებმა სცენაზე განასახიერეს მონტაჟი „მობურთალსა მოედანი“, რომელიც დადგა სკოლის ისტორიის მასწავლებელმა თინათინ რეხვიაშვილმა.

გ. ჯეჯელავამ და კ. მახარაძემ გულითადი მადლობა გადაუხადეს ბავშვებს საინტერესო საღამოს მოწყობისთვის.

მზია ბალანჩივაძე.

იმედს ამართლებს

ორიოდე წლის წინათ სპორტულ ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელმა ნ. ბახუტაშვილმა თავის ერთ-ერთ აღსაზრდელზე — ამირან ბერიანიძეზე გვითხრა, ამ ბიჭისგან კარგი სპორტსმენი დადგებაო.

მართლაც, თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სპორტსკოლის აღსაზრდელი ამირან ბერიანიძე შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იზრდება, ხვეწს ოსტატობას, იმდიდრებს გამოცდილებას.

ამას წინათ, თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ სსრ კავშირის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა პირველობაზე, ამირანი „შრომითი რეზერვების“ სახელით გამოდიოდა. იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით ასპარეზობდა და გამარჯვებული გამოვიდა ბჯენით ხტომებში.

ქ. მაღრაძე.

* * *



სურათზე: ა. ბერიანიძე.

ავტორის ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08573